პროგრამის აღწერა	მიერ საქმიანობის სახეების თავისუფალი არჩევისა და დამოუკიდებლობის გათვალისწინებით. თითოეულ მოსწავლეს უფლება აქვს ჩაებას სხვადასხვა პროფილის წრეში. ორგანიზაციაში მუშაობს მრავალი დასახელების წრე ესენია: უცხო ენა ინგლისური 2 ჯგუფი გონებამახვილთა 1 ჯგუფი ბიოლოგია 1 ჯგუფი ქართული ლიტერატურის 3 ჯგუფი მათემატიკის 2 ჯგუფი ხატვის 2 ჯგუფი კულინარიის 1 ჯგუფი რუსულის 1 ჯგუფი მხატვრული კითხვის 1 ჯგუფი ფსიქოლოგიის 1 ჯგუფი ქსოვის 1 ჯგუფი წრეები მიზნად ისახავს მოსწავლეთა აზროვნებისა და ზოგადსაგანმანათლებლო მსოფლმხედველობის განვითარებას. წრეები მოსწავლეს ეხმარება თავისუფალ აზროვნების განვითარებაში. წრის მიზანია საკუთარი არგუმენტების ნათლად ჩამოყალიბება, უნარ- ჩვევების და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ხელშეწყობა, სასწავლო საგნისადმი მეტი ინტერესის გაღვივება. კლასგარეშე მუშაობები მოსწავლეში აღძრავს სწავლისადმი ინტერესს, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობისას, ბავშვებს სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, ახალი მეგობრების შეძენის და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ეძლევათ.
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი მოსწავლეთა პიროვნული და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. აუმაღლდეს აზროვნება, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარ-ჩვევები, შეექმნას და გაუმყარდეს საფუძველი პროფესიის არჩევის, დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩართვისათვის. გამოვლინდებიან ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები, მოსწავლეების მოტივაციის დონის ამაღლება.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



				ფონდები	შემოსავლები		ფონდები	შემოსავლები
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,292.2	5,032.3	751.3	4,281.0	3,978.3	0.0	3,978.3
	ხარჯები	2,450.4	3,443.9	0.0	3,443.9	3,832.8	0.0	3,832.8
	საქონელი და მომსახურება	204.4	440.9	0.0	440.9	440.0	0.0	440.0
	სუბსიდიები	2,100.3	3,003.0	0.0	3,003.0	3,392.8	0.0	3,392.8
	გრანტები	43.1	00	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	102.6	0.0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	841.8	1,588.4	751.3	837.1	145.5	0.0	145.5
05 01 01	ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“	578.3	864.0	0.0	864.0	1,022.0	0.0	1,022.0
	ხარჯები	559.5	864.0	0.0	864.0	1,022.0	0.0	1,022.0
	სუბსიდიები	559.5	864.0	0.0	864.0	1,022.0	0.0	1,022.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 02	სასპორტო სკოლის კაპიტალური ხარჯი	561.2	1,588.4	751.3	837.1	90.0	0.0	90.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	561.2	1,588.4	751.3	837.1	90.0	0.0	90.0
05 02 01 02	ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“	355.8	514.0	0.0	514.0	617.7	0.0	617.7
	ხარჯები	348.7	514.0	0.0	514.0	617.7	0.0	617.7
	სუბსიდიები	348.7	514.0	0.0	514.0	617.7	0.0	617.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 01 04	ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“	665.9	866.2	0.0	866.2	880.1	0.0	880.1
	ხარჯები	623.4	866.2	0.0	866.2	880.1	0.0	880.1
	სუბსიდიები	623.3	866.2	0.0	866.2	880.1	0.0	880.1
	გრანტები	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	42.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 01 05	ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლების გაერთიანება“	538.8	728.8	0.0	728.8	843.0	0.0	843.0
	ხარჯები	538.8	728.8	0.0	728.8	843.0	0.0	843.0



	სუბსიდიები	538.8	728.8	0.0	728.8	843.0	0.0	843.0
05 02 01 06	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	სუბსიდიები	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
05 02 01 07	საინფორმაციო ცენტრი	2.4	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	2.4	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
	საქონელი და მომსახურება	2.4	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
05 02 01 08	სახელოვნებო სკოლების კაპიტალური ხარჯი	0.8	0.0	0.0	0.0	55.5	0.0	55.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.8	0.0	0.0	0.0	55.5	0.0	55.5
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება	559.0	400.9	0.0	400.9	400.0	0.0	400.0
	ხარჯები	347.6	400.9	0.0	400.9	400.0	0.0	400.0
	საქონელი და მომსახურება	202.0	400.9	0.0	400.9	400.0	0.0	400.0
	გრანტები	43.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	102.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	211.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
05 01 01			1,022.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა		სპორტის პოპულარიზაციისთვის და ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის საჭიროა შიდა ღონისძიებების ჩატარება, იეგემება ქართული ჭიდაობის, მიუდოს, რაგბის, ფეხბურთის, ჭადრაკისა და კალათბურთის ტურნირების ჩატარება საქართველოს მასშტაბით, მოწვეული იქნებიან აღნიშნული სახეობის გამოჩენილი სპორტსმენები, იქნება დაჯილდოვება მედლებით, თასებითა და დიპლომებით. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტული ცხოვრების დონის ამაღლებასა და სპორტში ჩართულობის გაზრდას, მათ შორის ინტეგრირებული და ექსტრემალური სპორტის მხარდაჭერასა და განვითარებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში სპორტი თანდათან ხდება პოპულარული, რაც გამოიხატება მოსახლეობაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებით, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, სადაც საშუალოდ იღებს მონაწილეობას 3200 ადამიანი, ფუნქციონირებს სხვადასხვა სექცია: როგორცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, აღმოსავლური ორთაბრძოლა, კიკბოქსინგი, ძაღლისმიერი სამჭიდი, რაგბი, ფრენბურთი. ამ სექციებში სულ რეგისტრირებულია 725 მოზარდი, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 2 პროცენტია, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არის სულ ძაღლისმიერი სამჭიდის 1 სახეობა. ჩართულია 25 მოზარდი და წარმატებული სპორტსმენი. ჩვენი მიზანია უფრო და უფრო მეტი ადსაზრდელი მოვიზიდოთ და ჩავრთოთ ამ მიმართულებით, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივი და გავსლით შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება, დაინტერესების მიზნით	



	სხვადასვა საპრიზო ფონდების შექმნა, სტიპენდიების დანიშვნა, წარმატებული ტრენერების წახალისება თუ მათი აღსაზრდელები მიაღწევენ სახვადასხვა წარმატებებს. მუნიციპალიტეტში არის სულ კიკბოქსინგის 4 და კრივის 2 სექცია, სადაც ჩართულია 120 მოზარდი. ჩვენი მიზანია უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ, არის ჭადრაკის 1 სექცია, სადაც ფუნქციონირებს 25 მოზარდი. არის 3 კალათბურთის სექცია, ჩართულია 70 მოზარდი. ფეხბურთის 7 სექცია, სულ ჩართულია 250 მოზარდი. რაგბის 2 სექცია, ჩართულია 45 მოზარდი, ფრენბურთის 1 სექცია, ჩართულია 10 მოზარდი. სპორტის პოპულარიზაციისთვის და ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის საჭიროა შიდა ღონისძიებების ჩატარება, იგეგმება ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, ფეხბურთის, ჭადრაკისა და კალათბურთის ტურნირების ჩატარება საქართველოს მაშტაბით, მოწვეული იქნებიან აღნიშნულ სახეობის გამოჩენილი სპორტსმენები, იქნება დაჯილდოვება მედლებით, თასებითა და დიპლომებით.
ვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			617.7
05 02 01 02			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 9 მუნიციპალური მუზეუმი, 20 ბიბლიოთეკა მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 18622 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3016-ს. მუნიციპალიტეტის 20 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 307269 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 3725 მოსახლე. საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარებისა და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა; საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება. სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვენტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა. ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება, კულტურულ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება. ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, გურჯაანში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის შეცვლა თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა და მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარება, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის ხელშეწყობა, არსებული ექსპონატების დაცვა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ბიბლიოთეკა - მუზეუმების შეუფერხებელი მუშაობა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა. ა(ა)იპ-ის მთავარი მიზანია, რომ დავანტერესოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. მეტი ტურისტი გვყავდეს მუზეუმებში, რაც გაზრდის საკუთარ შემოსავლს.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			880.1
05 02 01 04			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“	

ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია: კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა, განათლების დონის, ინტელექტისა და კულტურის ამაღლება, კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს კულტურულ შემოქმედებითი და აღმზრდელობითი მუშაობა, მოხდეს მათი წარმოჩენა და პოპულარიზაცია კონკურსებსა თუ ფესტივალებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. პროგრამის მიზანია, კულტურული ღონისძიებები მეტად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა მიმართულებით (თეატრალური, ფოლკლორული, ქორეოგრაფიული და ამ მიმართულებით მეთოდური მუშაობა), ასევე ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მეტი ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით მათთან შეხვედრების ორგანიზება. ასევე ღონისძიებების აუდიტორიის გაზრდა, მათი ინფორმირებულობის ამაღლების გზით და ა. შ. მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება და რეაბილიტაცია, გაზრდის ამ სფეროთი დაინტერესებულ მოსახლეობის დონის ხელმისაწვდომობასა და წარმოჩენას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლებში მოსახლეობის დამკვიდრებასა და მოზიდვას. ა(ა)ი.პ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაქვემდებარებაშია: ცხრა კულტურის სახლი: ვაჭირის, საქობოს, წნორის, ბოდბისხევის, ძვ. ანაგის, ქვ.მაჩხანის, ერისიმედის, ქვ.ბოდბის. მიუხედავად მძიმე მატერიალურ ტექნიკური ბაზისა, მაინც მიმდინარეობს სხვადასხვა სახის წრეობრივი მუშაობები, როგორიცაა: ხალხური რეწვა, თექაზე მუშაობა, სხვადასხვა სახის მუსიკალურ საკრავებზე შემსწავლელი წრეობრივი მეცადინეოები და სხვა, სადაც გაერთიანებულია 40 დან 50 მდე დაინტერესებული ადამიანი. მუნიციპალური თეატრი, თეატრის დასი დაკომპლექტებულია 16 თანამშრომლით, 12 მსახიობი, რადისტი, სცენის მენეჯერი, გარდერობის გამგე, თეატრის კონსულტანტი. დროდადრო მიმდინარეობს ძველი სპექტაკლების განახლება და ახალ სპექტაკლზე მუშაობა. მუნიციპალური თეატრი წელიწადში რამოდენიმეჯერ მიწვეულნი არიან სხვადასხვა ქვეყანაში ფესტივალებზე, სადაც უწევთ შეხვედრები ემიგრაციაში მყოფ ქართველებთან. ფოლკლორული ანსამბლები: „მრავალჟამიერი“, სადაც გაერთიანებულია რვა მომღერალი, რომლებიც თავიანთი რეპერტუარით და საშემსრულებლო ოსტატობით, დიდ მოწონებას იმსახურებს. გოგონათა ანსამბლი „ვაჭირელების“ მუშაობა ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდას, სადაც გაერთიანებულია 23 დან 35 მოზარდი. ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ლაშქრული“ შედგება 20 მოცეკვაისგან, ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი და ორი მუსიკოსისაგან სწავლობს 220 მოსწავლე. „ათინათი“ - ში კი გაერთიანებულია 90 ბავშვი. ზემოთ ჩამოთვლილი ანსამბლები მონაწილეობას იღებენ, როგორც რეგიონის ფარგლებში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის „მრავალჟამიერის“, გოგონათა ანსამბლი „ვაჭირელები“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაშქრული“, ბავშვთა ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლების სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ქვეყნის გარეთ. ახალი სპექტაკლების რაოდენობის ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებელი და მუნიციპალიტეტის ხელოვნათა მიღწევები.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სამუსიკო სკოლების განათლების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			843.0
05 02 01 05			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლების გაერთიანება	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის მასშტაბით ა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანებაში არის სიღნაღის ხელოვნების სასწავლებელი (თერთმეტწლიედი), რომელშიც შედის საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, საორკესტრო და ხალხურ საკრავთა განყოფილებები, 4 სამუსიკო სკოლა (ექვსწლიედი) წნორის, ვაქირის, ტიბაანის, მაღაროს და ასევე ტრადიციული მუსიკის და სახვითი ხელოვნების განყოფილებები. სიღნაღის ხელოვნების სასწავლებელს აქვს ფილიალი სოფ. ნუკრიანში და სოფ. ანაგაში, მაღაროს სამუსიკო სკოლას სოფ ქვემო ზოდბეში, ტიბაანის სამუსიკო სკოლას სოფ. ძველ ანაგასა და ხირსაში. სკოლების საერთო კონტინგენტი 560 მოსწავლე. მათ აღზრდას ემსახურება 70 პედაგოგი. სკოლებში არსებული მუსიკალური ინსტრუმენტები არ შეესაბამება მოთხოვნებს, განსაკუთრებით საჭიროა საკონცერტო როიალის შეძენა. საჭიროა განახლდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია, როგორც სახელოვნებო საგანმანათლებლო	



	დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა კლასიკური და თანამედროვე მიმართულების სამუსიკო განათლების მიღება, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისათვის. შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა და მათი აქტიური ჩართვა შესაბამისი განათლების მისაღებად; მოზარდებში კულტურის დონის ამაღლება, მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, ხელოვნებისა და ტრადიციების აღორძინება, კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

კოდი	პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			400.0
05 03			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ-სემინარები, ფორუმები, სესიები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა), შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული სადამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა), ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსება, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოვება, ახალგაზრდებისთვის ტრენინგების მოწყობა, საუკეთესო მასწავლებლების დაჯილდოვება, წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარება, შემოდგომის ფესტივალის მოწყობა, ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სპორტის ექსტრემალური სახეობების კვირეული, სეზონურად სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში შეღავათების დაწესება და სხვა).	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ხარისხობრივად და თვისობრივად მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტები, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა და ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა, ახალგაზრდა თაობის აქტიურად ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების გააქტიურება მუნიციპალიტეტში.	

კოდი	პროგრამის დასახელება	საინფორმაციო ცენტრი	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
			40.0
05 02 01 07			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება.	



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.
--	---

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,156.9 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის, სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობაზე გაზრდის ხელშეწყობასა და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამა განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამებით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,459.1	1,948.5	0.0	1,948.5	2,156.9	0.0	2,156.9
	ხარჯები	1,443.1	1,948.5	0.0	1,948.5	2,156.9	0.0	2,156.9
	სუბსიდიები	462.8	658.5	0.0	658.5	693.9	0.0	693.9
	სოციალური უზრუნველყოფა	822.0	1,160.0	0.0	1,160.0	1,308.0	0.0	1,308.0
	სხვა ხარჯები	158.3	130.0	0.0	130.0	155.0	0.0	155.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	211.6	291.5	0.0	291.5	320.7	0.0	320.7
	ხარჯები	197.2	291.5	0.0	291.5	320.7	0.0	320.7
	სუბსიდიები	197.2	291.5	0.0	291.5	320.7	0.0	320.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



06 01 01	აიპ „სიდნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“	211.6	291.5	0.0	291.5	320.7	0.0	320.7
	ხარჯები	197.2	291.5	0.0	291.5	320.7	0.0	320.7
	სუბსიდიები	197.2	291.5	0.0	291.5	320.7	0.0	320.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური პროგრამები	1,247.5	1,657.0	0.0	1,657.0	1,836.2	0.0	1,836.2
	ხარჯები	1,245.9	1,657.0	0.0	1,657.0	1,836.2	0.0	1,836.2
	სუბსიდიები	265.6	367.0	0.0	367.0	373.2	0.0	373.2
	სოციალური უზრუნველყოფა	822.0	1,160.0	0.0	1,160.0	1,308.0	0.0	1,308.0
	სხვა ხარჯები	158.3	130.0	0.0	130.0	155.0	0.0	155.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 01	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	476.9	542.0	0.0	542.0	612.0	0.0	612.0
	ხარჯები	476.9	542.0	0.0	542.0	612.0	0.0	612.0
	სუბსიდიები	1.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	473.3	542.0	0.0	542.0	612.0	0.0	612.0
	სხვა ხარჯები	2.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 01 01	მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	303.4	321.0	0.0	321.0	390.0	0.0	390.0
	ხარჯები	303.4	321.0	0.0	321.0	390.0	0.0	390.0
	სოციალური უზრუნველყოფა	303.4	321.0	0.0	321.0	390.0	0.0	390.0
06 02 01 02	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა, უსინათლოთა, დაუნის სინდრომით და აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარება	157.9	181.0	0.0	181.0	182.0	0.0	182.0
	ხარჯები	157.9	181.0	0.0	181.0	182.0	0.0	182.0
	სუბსიდიები	1.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	154.3	181.0	0.0	181.0	182.0	0.0	182.0
	სხვა ხარჯები	2.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



06 02 01 03	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	10.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	10.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	10.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
06 02 01 04	ფენილკეტონურიით, ცელიაკითა და სისხლის იშვიათი დაავადების მქონე ბავშვთა (18 წლამდე) დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 01 05	შშმ პირთა სადღეღამისო ცენტრების კომუნალური გადასახდების (ბუნებრივი აირის) სუბსიდირება	5.6	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	5.6	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	5.6	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	446.6	500.7	0.0	500.7	565.7	0.0	565.7
	ხარჯები	446.6	500.7	0.0	500.7	565.7	0.0	565.7
	სოციალური უზრუნველყოფა	309.3	370.7	0.0	370.7	410.7	0.0	410.7
	სხვა ხარჯები	137.3	130.0	0.0	130.0	155.0	0.0	155.0
06 02 02 01	ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალისათვის დახმარება	76.6	30.0	0.0	30.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	76.6	30.0	0.0	30.0	20.0	0.0	20.0
	სხვა ხარჯები	76.6	30.0	0.0	30.0	20.0	0.0	20.0
06 02 02 03	იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) სოციალური დახმარება	3.2	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	3.2	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	სოციალური უზრუნველყოფა	3.2	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
06 02 02 04	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება	11.5	13.0	0.0	13.0	35.0	0.0	35.0
	ხარჯები	11.5	13.0	0.0	13.0	35.0	0.0	35.0
	სოციალური უზრუნველყოფა	11.5	13.0	0.0	13.0	35.0	0.0	35.0
06 02 02 05	სხვა სოციალური ღონისძიებები	308.3	354.7	0.0	354.7	372.7	0.0	372.7
	ხარჯები	308.3	354.7	0.0	354.7	372.7	0.0	372.7



	სოციალური უზრუნველყოფა	294.6	354.7	0.0	354.7	372.7	0.0	372.7
	სხვა ხარჯები	13.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 02 06	სტუდენტების დახმარება	20.6	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	20.6	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	სხვა ხარჯები	20.6	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
06 02 02 12	უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა(უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა)	26.4	8.0	0.0	8.0	48.0	0.0	48.0
	ხარჯები	26.4	8.0	0.0	8.0	48.0	0.0	48.0
	სხვა ხარჯები	26.4	8.0	0.0	8.0	48.0	0.0	48.0
06 02 02 13	დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება(მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა)	0.0	47.0	0.0	47.0	57.0	0.0	57.0
	ხარჯები	0.0	47.0	0.0	47.0	57.0	0.0	57.0
	სხვა ხარჯები	0.0	47.0	0.0	47.0	57.0	0.0	57.0
06 02 02 14	საშიშროების შემცველი, ავარიული სახლებიდან მოსახლეობის გაყვანა და მათი ბინის ქირით დაკმაყოფილება	0.0	15.0	0.0	15.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	15.0	0.0	15.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	15.0	0.0	15.0	0.0	0.0	0.0
06 02 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	57.3	233.3	0.0	233.3	274.3	0.0	274.3
	ხარჯები	57.3	233.3	0.0	233.3	274.3	0.0	274.3
	სოციალური უზრუნველყოფა	38.7	233.3	0.0	233.3	274.3	0.0	274.3
	სხვა ხარჯები	18.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 06 04 01	მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება	5.6	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	5.6	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	სოციალური უზრუნველყოფა	5.6	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
06 02 04 02	ოჯახებისა და ბავშვების დახმარება	51.7	115.0	0.0	115.0	178.0	0.0	178.0
	ხარჯები	51.7	115.0	0.0	115.0	178.0	0.0	178.0
	სოციალური უზრუნველყოფა	33.1	115.0	0.0	115.0	178.0	0.0	178.0



	სხვა ხარჯები	18.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 04 03	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება	0.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	0.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
06 02 04 04	ერთ წლამდე ასაკის ბავშვისთვის ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა	0.0	1.5	0.0	1.5	1.5	0.0	1.5
	ხარჯები	0.0	1.5	0.0	1.5	1.5	0.0	1.5
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	1.5	0.0	1.5	1.5	0.0	1.5
06 02 04 05	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	1.8	0.0	1.8	1.8	0.0	1.8
	ხარჯები	0.0	1.8	0.0	1.8	1.8	0.0	1.8
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	1.8	0.0	1.8	1.8	0.0	1.8
06 02 04 06	ასისტირება პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა	0.0	90.0	0.0	90.0	68.0	0.0	68.0
	ხარჯები	0.0	90.0	0.0	90.0	68.0	0.0	68.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	90.0	0.0	90.0	68.0	0.0	68.0
06 02 05	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა ომის შემდეგ გარდაცვილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება	0.7	4.0	0.0	4.0	1.0	0.0	1.0
	ხარჯები	0.7	4.0	0.0	4.0	1.0	0.0	1.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.7	4.0	0.0	4.0	1.0	0.0	1.0
06 02 07	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება	266.0	367.0	0.0	367.0	373.2	0.0	373.2
	ხარჯები	264.4	367.0	0.0	367.0	373.2	0.0	373.2
	სუბსიდიები	264.4	367.0	0.0	367.0	373.2	0.0	373.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 08	სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	0.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის პროგრამები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		2,156.9
პროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებსა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგზე რეაგირება.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2026 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
06 01 01			320.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“		
სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას, არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საღმრთედლო და საგანმანათლებლო-საღმრთედლო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საღმრთედლო და საგანმანათლებლო-საღმრთედლო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.		

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.
---	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური პროგრამები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02		1,836.2
პროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 01		390.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირები, რომელთა იურიდიული ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელია სიღნაღის მუნიციპალიტეტი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000, რომელთაც ესაჭიროებათ გამოკვლევები, ოპერაცია, მკურნალობა. მოქალაქეებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად: დიაგნოსტიკური კვლევებისათვის, სტაციონარული (ოპერაცია, მკურნალობა) და სარეაბილიტაციო მკურნალობისათვის: ა) 300 ლარამდე სრული ოდენობით; ბ) 301 – 1001 ლარამდე არაუმეტეს 50%-ის ოდენობით; გ) 1001- 1501ლარამდე 40%-ის ოდენობით; დ) 1501 ლარიდან ზევით გადასახდელი თანხის 35%, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა, უსინათლოთა, დაუნის სინდრომით და აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 02		182.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე 100 ლარის ოდენობით; ბ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებს (არ მოეთხოვებათ ცნობა ქულების შესახებ), ხოლო ქრონიკული დაავადების მქონე პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 180 000-ს, გაეწვათ ფინანსური დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 300 ლარისა; გ) უსინათლოთა დახმარება განსაზღვრულია ერთჯერადად არაუმეტეს 200 ლარისა; დ) შშმ ბავშვთა დღის ცენტრებისათვის, ბავშვთა და ხანდაზმულთა სპეციალიზებული დაწესებულებისათვის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გასაცემ დახმარებას ერთჯერადად, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით; ე) მზრუნველობამოკლებულ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ხანდაზმულთა სპეციალიზებული დაწესებულებით უზრუნველყოფის ყოველთვიური თანადაფინანსებას არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების ელექტროენერგიის საფასურის თანადაფინანსების თანხა თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვე არაუმეტეს 15 ლარისა, რომელიც ჩაირიცხება სადისტრიბუციო კომპანიის „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერზე.
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირთათვის გაწეული დახმარება, ფინანსური რისკების შემცირება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. დიალიზის პროგრამით მოსარგებლეების მატერიალური უზრუნველყოფა, შშმ პირთა, ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრების განვითარებისთვის ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 03		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური ქვეპროგრამის ფარგლებში ისარგებლებენ სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მაცხოვრებელი მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკური კვლევა, სტაციონალური (ოპერაცია, მკურნალობა) და ამბულატორიული მკურნალობა (ქიმიოტერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია): ა) 300 ლარამდე სრული ოდენობით; ბ) 301 – 1001 ლარამდე არაუმეტეს 50%-ის ოდენობით; გ) 1001 – 1501 ლარამდე 40%-ის ოდენობით; დ) 1501 ლარიდან ზევით გადასახდელი თანხის 35%, მაგრამ არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით. ე) მედიკამენტოზური მკურნალობისთვის არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია და ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა სადღეღამისო ცენტრების კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირის) სუბსიდირება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 05		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება,		
	ანაზღაურდება სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები, ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან -15 აპრილამდე) თვეში არაუმეტეს 30% , მაგრამ არაუმეტეს 700 მ ³ , მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო კომპანიის საბანკო ანგარიშზე - ფაქტობრივი გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (კომუნალური გადასახადის დამადასტურებელი ქვითრის) წარმოდგენის საფუძველზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალისათვის დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 01		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ხანძრის შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებულებს მიეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით 30%-მდე, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა, ხოლო დამხმარე ნაგებობებზე მიყენებული ზარალისთვის არაუმეტეს 500 ლარისა. მოქალაქემ მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს განცხადება მერის სახელზე დამდგარი ზიანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. ხანძრისა და სტიქიის შემთხვევაში, თუ ოჯახი დარჩა უსახლკაროდ და მას არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, გაიცემა ყოველთვიური ფულადი თანხა ბინის ქირის უზრუნველყოფისათვის, ქალაქის ტიპის დასახლებაში არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო დაბასა და სოფლის ტიპის დასახლებაში არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური რისკების შემცირება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილები) სოციალური დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 03		3.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სიღნაღის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 180 000-ს, განესაზღვრათ დახმარება არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით.		



მოსალოდნელი შედეგი	დევენილთათვის ფინანსური რისკების შემცირება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 04		35.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დახმარებას მიიღებენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანთათვის ფინანსური რისკების შემცირების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სხვა სოციალური ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 05		372.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 400 ლარისა გაიცემა განსაკუთრებული საჭიროების მქონე შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებისათვის:		
	ა) ოჯახს, რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 180 000-ს და იმყოფებიან მძიმე საცხოვრებელ პირობებში;		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბ) ოჯახს, რომელიც მომართვის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის უკიდურეს გაჭირვებას და აქვს განსაკუთრებული საჭიროება (მათ შორის, უბედური შემთხვევა, ჯანმრთელობის გაუარესება-კლინიკიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით), რაც დასტურდება მერის წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე (არ საჭიროებს ცნობას სოც. სააგენტოდან ქულების შესახებ);		
	გ) მოქალაქეებს რომელთაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი, ან მის დასაცავად გაცემულია შემაკავებელი ორდერი (არ საჭიროებს ცნობას სოც. სააგენტოდან ქულების შესახებ).		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლის და 100 წლის ასაკს გადაცილებულ მოქალაქეს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით დაბადების დღის		



	აღსანიშნავად. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი არასრულწლოვანი 18 წლამდე ასაკის შვილი და სოც.დაუცველთა ბაზაში მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 180 000, დედის დღესთან დაკავშირებით მიეცემა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მრავალშვილიან უსახლკარო მოქალაქეებს სიღნაღის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საცხოვრებელი ფართის ქირის ანაზღაურებას ან თანადაფინანსებას ქალაქის ტიპის დასახლებაში არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო დაბასა და სოფლის ტიპის დასახლებაში თვეში არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით. ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების, ნათესაური მინდობით აღზრდის პროგრამით მოსარგებლე ოჯახებს წელიწადში 4-ჯერ (კვარტალურად) 250 ლარის ოდენობით.
მოსალოდნელი შედეგი	ამ პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის გაწეული დახმარება სხვადასხვა საჭიროებებისათვის, ფინანსური რისკების შემცირება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტების დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 09		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აკრედიტებულ/ავტორიზებულ სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება გაეწევათ:		
	ა) ობოლ სტუდენტებს, ან მრავალშვილიანი (რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი) ოჯახის სტუდენტებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 180 000-ს და გადასახდელი თანხა აქვთ არანაკლებ 600 ლარი, სრული გადასახდელი თანხის არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარი.		
	ბ) სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70001-ს.რომელთაც გადასახდელი თანხა აქვთ არანაკლებ 600 ლარი, სრული გადასახდელი თანხის 50%, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარი.		
	სტუდენტის მაქსიმალური ასაკი განისაზღვრა 24 წლამდე.		
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტთათვის სწავლის ხელშეწყობა და ფინანსური რისკების შემცირება		

	კოდი	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	
--	------	----------------------------------	--



ქვეპროგრამის დასახელება	06 02 02 12	უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა)	48.0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ოჯახის დახმარება ყოველთვიურად, ბინის ქირის გადახდის სახით, თითოეულ ოჯახზე განისაზღვრა ქალაქის ტიპის დასახლებაში არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო დაბისა და სოფლის ტიპის დასახლებაში - არაუმეტეს 250 ლარისა. დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადების მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ: ა) ოჯახს, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი ბავშვი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი; ბ)მარტოხელა, შრომისუუნარო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც არ ყავთ მარჩენალი; გ) სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ (მინდობით აღზრდა) ახალგაზრდებს 22 წლის ასაკის მიღწევამდე; დ) უსახლკარო ძალადობის მსხვერპლ ოჯახებს.			
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ოჯახების ფინანსური რისკების შემცირება, უზრუნველყოფილი არიან ქირის ოდენობის ანაზღაურებით.			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ბენეფიციართა ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლითაც ისარგებლებენ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, საშიშროების შემცველი, ავარიულ სახლებში მცხოვრები პირები/ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრისი და მათი ავარიულ სახლში ცხოვრება საფრთხის შემცველია, რაც დასტურდება აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს ან/და სერტიფიცირებული ექსპერტის მიერ წარდგენილი დასკვნის (ბინის შმოწმების აქტის) საფუძველზე. ბინის ქირის ოდენობა განისაზღვრა თვეში ქალაქის ტიპის დასახლებაში არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო დაბასა და სოფლის ტიპის დასახლებაში არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით.			
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ოჯახების ფინანსური რისკების შემცირება, უზრუნველყოფილი არიან ქირის ოდენობის ანაზღაურებით.			

პროგრამის დასახელება	კოდი	დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება (მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა)	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 13		57.0
პროგრამის განმახორციელებელი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადების მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული შემდეგი კატეგორიის სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს: ა) მარტოხელა პენსიონერს; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს; გ) რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილი.		



